**დაუყოვნებლივ გამოქვეყნებისთვის**
1 აგვისტო, 2018

**საკონტაქტო პირი:**
თბილისი: დიანა ჩაჩუა
dchachua@ndi.org, +995 577 77 96 39
ვაშინგტონი: ჯერი ჰართსი
jhartz@ndi.org, +1 202 728 5500

# NDI-ის კვლევა: საპრეზიდენტო არჩევნების მოლოდინში მოსახლეობა ქვეყნის კურსზე, ეკონომიკასა და გარემოს დაცვაზე წუხს; უკმაყოფილება არსებული პოლიტიკური სპექტრით

*თბილისი* - ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტისა (NDI) და CRRC საქართველოს მიერ დღეს გამოქვეყნებული კვლევა ეკონომიკურ მდგომარეობასთან, გარემოს დაცვასთან და პოლიტიკურ კლიმატთან მიმართებაში მოსახლეობის მზარდ უკმაყოფილებაზე მიუთითებს. მოქალაქეების 62 პროცენტს მიაჩნია, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება, ხოლო 29 პროცენტი ამბობს, რომ ქვეყნის კურსი სწორია.

ბოლო 10 წელიწადში მოსახლეობა სიტყვის თავისუფლების, ხელმისაწვდომი ჯანდაცვისა და ქალებისა და უმცირესობების უფლებების კუთხით გაუმჯობესებას ხედავს. თუმცა, შემდეგ საკითხებთან მიმართებაში მოქალაქეები გაუარესებაზე მიუთითებენ: კორუფცია, სასამართლო სისტემა, სამუშაო ადგილები, კრიმინალი, სიღარიბე, ტერიტორიული მთლიანობა და ფასების ზრდა. წამყვან ეროვნულ საკითხებად კვლავ ეკონომიკური თემები რჩება: სამუშაო ადგილები, სიღარიბე და ფასების ზრდა. მოსახლეობის მხოლოდ 3 პროცენტი აფასებს საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობას „კარგად“. გარდა ამისა, რესპოდენტების 59 პროცენტი აღნიშნავს, რომ გასულ თვეში არც ერთი ანაზღაურებადი დღე უმუშავია.

მოქალაქეებს სურთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი უმთავრესად ჯანდაცვას, განათლებას, პენსიებსა და სოციალურ დახმარებას მოხმარდეს. ამისთვის ისინი მზად არიან, რომ დაფინანსება საგარეო ურთიერთოებებს, პოლიციას და მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარებას მოაკლდეს.

„გაცხადებული ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, მოქალაქეების უმრავლესობა ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას პესიმისტურად აფასებს. როგორც ჩანს, ეს ეკონომიკური ზრდა არ ასახულა საზოგადოების განწყობაზე,“ - განაცხადა NDI-ის საქართველოს ოფისის

დირექტორმა, ლორა თორნტონმა. - „პოლიტიკოსებმა ძალისხმევა უნდა გამოიჩინონ, რათა ქვეყნის ზრდის მაჩვენებლები მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაზე აისახოს. მათ მოსახლეობას დასაქმებისა და ეკონომიკური კეთილდღეობის მისაღწევად უკეთესი პირობები უნდა შეუქმნან და პრიორიტეტებად ჯანდაცვისა და განათლების სფეროები აქციონ.”

მოსახლეობის უმეტესობა გარემოს დაცვის კუთხით არსებულ მდგომარეობას კრიტიკულად აფასებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა თბილისში, სადაც დედაქალაქის მაცხოვრებლების 90 პროცენტი მხარს უჭერს გარემოს დაცვის კუთხით ისეთი ზომების გატარებას, როგორიცაა: მანქანების ტექნიკური დათვალიერება, ნაგვის სავალდებულო დახარისხება, საკვები პროდუქტის რეგულარული შემოწმება, პოლიეთილენის პარკებისა და კონტეინერების აკრძალვა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაუმჯობესება.

საპრეზიდენტო არჩევნების მოახლოებასთან ერთად, მოსახლეობას სურს, რომ კანდიდატებმა წინასაარჩევნო პროგრამები დასაქმების, ჯანდაცვისა და განათლების საკითხებზე ააგონ. მოქალაქეები აცხადებენ, რომ კანდიდატების მხრიდან წინა მთავრობებზე და ოპონენტებზე თავდასხმებისა და სხვა პოლიტიკური პარტიების კრიტიკის მოსმენა არ სურთ.

კითხვაზე, ხვალ რომ საპრეზიდენტო არჩევნები ტარდებოდეს, გადაწყვეტილი გაქვთ თუ არა ვის მისცემდით ხმას, 74 პროცენტი (NDI-ის კვლევების ისტორიაში მოქალაქეების რეკორდული რაოდენობა) აღნიშნავს, რომ არ იცის ვის მისცემს ხმას. ამასთან, მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი ასახელებს კონკრეტულ პარტიას, როგორც მის შეხედულებებთან ყველაზე ახლოს მყოფს. მოქალაქეების 18 პროცენტი ასეთ პარტიად “ქართულ ოცნებას” ასახელებს, 10 პროცენტი - “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას”, ხოლო 3 პროცენტი - “ლეიბორისტულ პარტიას”. ყველა სხვა პარტია რესპონდენტთა 3 პროცენტზე ნაკლებმა დაასახელა.

იმის გათვალისწინებით, რომ არჩევნების თარიღი და ყველა კანდიდატის ვინაობა ჯერ უცნობია, კონკრეტული ადამიანების არჩევნებში მონაწილეობამ, შესაძლოა, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს არჩევნების ბედზე. იმ შემთხვევაში, თუ მოქმედი პრეზიდენტი მარგველაშვილი კენჭს იყრის არჩევნებში, გამოკითხვის თანახმად, კანდიდატების პროცენტული მაჩვენებლები ასე გადანაწილდება: “ქართული ოცნების” კანდიდატი - 12 პროცენტი, “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატი - 10 პროცენტი, მოქმედი პრეზიდენტი - 6 პროცენტი, დავით ბაქრაძე (“ევროპული საქართველოს” კანდიდატი) - 6 პროცენტი, შალვა ნათელაშვილი (“ლეიბორისტული პარტიის” კანდიდატი) - 4 პროცენტი. ხოლო თუ მოქმედი პრეზიდენტი არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას, გამოკითხვაში “ქართული ოცნების” კანდიდატის მხარდაჭერა 17 პროცენტამდე იზრდება, სხვა კანდიდატების მაჩვენებლები კი სტატისტიკურად იგივე რჩება.

გამოკითხვაში მოქალაქეებს მეორე ტურის შესაძლო სცენარებზეც დაესვათ კითხვა. ყველა წარმოდგენილი სცენარის შემთხვევაში, “ქართული ოცნების” კანდიდატს დაახლოებით 32 პროცენტი მისცემდა ხმას. მეორე ტურში მმართველი პარტიის კანდიდატის წინააღმდეგ “ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატს 20 პროცენტი მისცემდა ხმას, დავით ბაქრაძეს - 20 პროცენტი, “პატრიოტთა ალიანსის” კანდიდატს - 11 პროცენტი, შალვა ნათელაშვილს კი - 18 პროცენტი. ოდნავ განსხვავებული სურათი იქმნება მეორე ტურში მარგველაშვილისა და

“ქართული ოცნების” კანდიდატის შერკინების შემთხვევაში. ასეთი არჩევანის პირობებში, მოსახლეობის 26 პროცენტი “ქართული ოცნების” კანდიდატს, 21 პროცენტი კი მოქმედ პრეზიდენტს დაუჭერდა მხარს. გამოკითხვა ასევე აჩვენებს, რომ მოსახლეობის აზრით, ოპოზიციამ საერთო საპრეზიდენტო კანდიდატი უნდა დააყენოს.

“ქვეყნის კურსთან და ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებული განწყობების გათვალისწინებით, გასაკვირი არ არის, რომ მოქალაქეების უმეტესობა რომელიმე კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას არ უჭერს მხარს და არც ის იცის თუ ვის მისცემდა ხმას,“ - აღნიშნა თორნტონმა. - „ასეთივე სურათია საპრეზიდენტო არჩევნებთან მიმართებაშიც, რაც შესაძლოა იმითაცაა გამოწვეული, რომ ყველა საპრეზიდენტო კანდიდატის ვინაობა დღემდე არაა ცნობილი. აღნიშნული კვლევა მიუთითებს, რომ პრეზიდენტ მარგველაშვილის არჩევნებში მონაწილეობამ, შესაძლოა, გავლენა იქონიოს საარჩევნო გარემოს კონკურენტულობაზე.“

NDI იკვლევს საზოგადოებრივ აზრს, რათა დაეხმაროს დაინტერესებულ მხარეებს, გაიგონ და გადაჭრან მოქალაქეებისთვის პრობლემატური საკითხები ზუსტ, მიუკერძოებელ და სტატისტიკურად სწორ მონაცემებზე დაყრდნობით. კვლევის მიზანია, ხელი შეუწყოს ისეთი პოლიტიკისა და მმართველობის ჩამოყალიბებას, რომელიც უფრო მეტად იქნება მორგებული მოსახლეობის საჭიროებებზე. პოლიტიკოსები მიიჩნევენ, რომ კვლევებიდან მიღებული ინფორმაცია ეხმარება მათ საქმიანობას და გამოთქვამენ სურვილს, კვლავაც გაგრძელდეს მსგავსი გამოკითხვები.

აღნიშნული კვლევა, 2018 წლის 23 ივნისი-8 ივლისის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 2,409 პირისპირი ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე, ქვეყნის ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა (ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით). კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი არის +/- 1.9 პროცენტი.

NDI-ის კვლევები ხორციელდება დიდი ბრიტანეთის მთავრობის UK aid-ის ფინანსური ხელშეწყობით და ატარებს CRRC საქართველო.

***-დასასრული-***

***NDI*** *არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც მუშაობს დემოკრატებთან მსოფლიოს ყველა რეგიონში, რათა გაძლიეროს პოლიტიკური და სამოქალაქო ორგანიზაციები, ხელი შეუწყოს არჩევნების სამართლიანად ჩატარებას, მოქალაქეების აქტიურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მთავრობის ანგარიშვალდებულებას. დამატებითი ინფორმაცია:* www.ndi.org

***CRRC საქართველო*** *არის არასამთავრობო, არაკომერციული კვლევითი ცენტრი, რომელიც აგროვებს, აანალიზებს და აქვეყნებს მონაცემებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური და სოციალური პროცესების შესახებ. ორგანიზაციის მიზანია საზოგადოებრივი მეცნიერებების კვლევებისა და საჯარო პოლიტიკის ანალიზის განვითარების ხელშეწყობა. დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე : www.crrc.ge*